

თეატრი

საყოველ-კვირხო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

6 ივლისი

გ ა მ რ ი ც ე მ ა

№ 27

ქ ვ ი რ ა მ ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მასეთი, ნასკვარ წლით სამი (3) მასეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღწერა: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“

რედაქცია სთხოვს იმ ხელის მომწერთა, რომელთაც აღმდისინ არ უამოუბანიათ ხედილი ფული დაუჩქარონ და უამოუბანონ 1 ივლისამდე, თორემ პირველის ივლისის უამდე გავითის გავზავნა მომსპობათ.



ცხოვრების თეატრი.

ბევრი რამ მოხდა ამ ორს კვირაზედ ცხოვრების თეატრის სცენაზედ. უწესობა და წესიერება, სიმართლის გამჟღავნება და გაბერილი, გასიყვებული თაე-მოყვარება, ალხანა და ჩაღბანა და ბევრი სხვა ფეროვანი, სხვა სახოვანი აბდა-უბდაობა და ასკინკილობა ერთად აირიგნენ, ერთად აწიწმატდნენ ამ ჩვენს დაულალავ და ჟინიან ცხოვრების თეატრზედ. მაგალითად, რა იყო ის ყოველად შეუფერებელი და შეუწყნარებელი პოლემიკა ბ-ნ დ. შიფიანისა და „ნივერის“ რედაქტორის შორის? ჩვენ ეამბობთ არა ჩვეულებრივ და შეუფერებელ პოლემიკას იმად, რომ კილო, მანერა და მრავალი სხვა ხერხები და საშუალებანი ხსენებულის პოლე-

მიკისა არ ეთახმებოდნენ არც ბ. შიფიანის დაარც ბ. „ნივერის“ რედაქტორის მდგომარეობას, მათს ლირსებას, მათს ღინჯობას... რალა უნდა ვსთქვათ ჩვენ, ან რას უნდა მოვლოდეს კაცი ჩვენგან თუ ორი უწარჩინებულესი პირნი ჩვენი პაწია ქვეყნისა იმდენად სჭარბობენ და სცილდებიან საანბანო წესებს ლიტერატურისას, რომ საპოლემიკო საგნად გაიხადეს არა ის საგანი, რომელზედაც პოლემიკა უნდა ყოფილიყო, ესე იგი ბანკის წესდება და მისი აე-კარგიანობა, არამედ თავიანთი პირფუნული მეტ-ნაკლებობა, ნიჭი, ჭკუა, პატიოსნება, სრდილობა და კიდევ ბევრი რამ ისეთი, რაზედაც ყოველგვარი სჯა და სმენა სათაკილოა იმათთვის, სამწუხაროა ჩვენთვის და სასაცილო მტერთათვის.

ჩვენ გვეგონა, რომ ამ ორთა მოკამათეთა შორის გათავდებოდა „მანერიანი პოლემიკა“. მაგრამ ცხოვრების თეატრის ჭირვეულობამ მესამე პირიც აიყოლია,—ეს პირი აკაკია. ამ პატივეცემულს და წარჩინებულს პოეტს პოლემიკის ჟინი აღძვრიადა ისეთს უმართლო რეზონირობას მოპყლია, როგორც მაგალითად: „ბ. ჭკუჭკუაძეს ცალ-მოგვი მოლაყუე პეტროსიტუტი, კუდა-ჭკუშმარტიკის სიდეკუბი, ჟამაგირსეჟ სრუსკა“ და სხვა. ყველა

ეს სამწუხაროა, სამწუხაროა მით უფრო, რომ მაგას სწადიან უკეთესნი წარმომადგენელნი ჩვენი მოწინავე დასისა, რომლებსაღმი რწმენა ჩვენთვის საჭიროა, რომ სულ არ ავირიე-დავირიოთ... მაგრამ რასა იქ! ესეც ცხოვრების თეატრი, ესეც მაზედ მომქმედნი პირნი—გაზვიადებული რეზონიორები!

ამას წინედ „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო კორრესპონდენცია ბათუმიდამ, სადაც ავტორი აშკარაგებდა ზოგი-ერთი დამოყენის მოხელეთა სიმრუდეს და გადაჭარბებულ მოქმედებას შესახებ იქაურ მცხოვრებთა და მგზავრებთა. კორრესპონდენცია, როგორც ეტყობა, არ მოსწონებია დამოყენის მმართველს და ისეთი რიხიანი წერილი გაუგზავნია „ივერიის“ რედაქციისათვის, რომლით თითქმის ლალატსა სწამებდა მთელს პრესას და ბოლოს ასეთი გულ-შემატკივრობა და დარიგება გამოიჩინა რედაქციის მიმართ: „ეს ამბავი (ესე იგი კორრესპონდენციის დაბეჭდვა) საოცარია და სამწუხარო, მით უფრო რომ ერთად ერთ ქართულს გაზეთს მაგ ნაირი ცნობების დაბეჭდვით ეკარგება თავისი ღირსება და მნიშვნელობა მკითხველების თვალშია“. ნათქვამია ძალა აღმართს ხნავსო და ამიტომ ბრალდებული გაზეთი იძულებულ იქმნა გაჩუმებულ-იყო. მაგრამ გაიარა რამდენიმე დღემ და აი რასა ეკითხულობთ „Правительст. Вѣстникъ“-ში „სოფელსნი ვაღაქუღსნი არიან ბათუმი თუ სსაქონელი იყიდეს, გადისი:დონ ბაყი და ისიც ოქროსა და კერცხლის ფულითო, სშირად უნდა დამტკიცონ რომ ის ტანისამოსიც კი, რომელიც ტანსუდ აცვიათ სდაურია და სდა არის ნაყიდიო. ამის გამო შუღლი და უსიამოვნება ხდებო. დედაჯაცებიც კი არ არიან შეწინააღმდეგნი და უნდა გასისჯულ იქმნენ სოღმე სსაბაჟოს მთავრობის მიერო. ქაღების გასინჯვა და სელის სლევა მუსუღმანებს მიანიათ დიდ შეურაცხყოფადო“ და სსვა. ნეტა ვიცოდეთ, რას იტყვის ეხლა ბ-ნი დამოყენის მმართველი გამოესარჩლება კიდევ თავის ხელ-ქეცით მოხელეებს? ვითომ „ერთად ერთი ქართული გაზეთი მაგ ნაირი ცნობების დაბეჭდვით დაჭარბავს ღირსებას და მნიშვნელობას“? ან კიდევ მხარს დაუჭერს და წავსარჩლება იმ შემავიწროებელ მდგომარეობას, რომელმაც გამოიწვია უმაღლესი მთავრობის განკარგულება ხსენებულ შევიწროებათა გაუქმებაზედ? ეხლაც ბრალს დაადებს ერთადერთს „ქართულ გაზეთს“? აი რეზონიორობა თუ ვნებათ სწორედ ეს გახლავთ, დიახ!

მანინ ხომ რეზონიორებია და იყენენ კიდევ

იმათა, მაგრამ რა სახელი ეწოდებად იმათ, რომლებმაც წარსულის თვის 22-ს დ. სურამში ერთი უკაცური და შემადრწმუნებელი საქციელი ჩაიდინეს (იხილე „ივერია“ № 139.) მილაც ზ.—ტ.—და გ.—მოუტაცნათ სურამელი ქალი, მოსამსახურე გოგო და რიგ-რიგად, ზედი-ზედ სამი დღე და ღამე უწვალებათ, სად არ წაუყვანიათ, სად არ უთრევიათ, რა მუქარა და ზომები არ უხმარნიათ თავიანთ მხეცურის ვნებათა დასატკობლად. შეუჩვეველ მკითხველს გული სისხლით ემსება, ჯავრები არჩობენ, როდესაც ჰკითხულობს გაზეთში მაგისთანა სამარცხვინო ამბებს. შეჩვეული კი... მაგრამ ღირს-ლა ლაპარაკი! ესეთი მახინჯი მოვლენა ცხოვრების თეატრზედ ფრიად საგულისხმოა.—ის ნიადავი, ის ჰაერი, სადაც მაგისთანა უკაცურ საქციელს ალაგი აქვს, იქ, ვგონებ, ხეირი არ უნდა სუფევდეს... თუ დღეს გოგო მოიტაცეს და აწვალეს, ხვალ ქალობატონს მოიტაცებენ, ზეგ კიდევ ჩვენ დედას, დას, შეილს...

ბაირყენა არე-მარე, ზნეობრივი კაცობა დიფულა... ერთი-ლა წამალი დაედება მაგ სენს—ეგ არის სწავლა, განათლება სულიერი და-ხორციელი, მეცნიერება, განათება, განსხვავება შეგ-ზნელ გულის, სულის და ტვინის კუნჭულებთა, სადაც მაგისთანა უკაცური, ყოვლად სასიარცხილო, აღმინაობის დამამცირებელი საქციელი იბადებია, იზრდებია და ბოლოს ნაყოფიც მოაქვთ. დიახ, განათლება საჭირო, თორემ ვერაფერი გამოიძება, ვერაფერი სული და პალატა ვერ აღმოფხვრის ძირეულად იმას, არამედ უფრო წააქეზებს, უფრო გააზვიადებს!...

რეზონიორი

ლექსები წროზით

შენი უსამსო, გმნობას მოკლებული, ტიტინი, შენი თვალები, ყოველი შენი ქრევა აშკარად მკუხუბნიან, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა განგშორდეთ, რადგან ის ბედნიერება, რომელმაც ჩვენ ერთს დროს შეგკავრთა, დღეს შენგანვე დასშული არის.

* * *

მნელა ჩვენს დროს ცხოვრება: ცხოვრება გარეგანა, — ფეჟის სიცოცხლე. სად არის კაცბური კაცობა? სად არის ურთი-ერთობა? სულ-ყოველივე წაღუკილია!.. ახა სად არის საქმის კაცი? ახა, სად არის ჭირის ამტანი, თავ-გაშწირავი? — აწსიად სხანს!

* * *

ბევრნი ჩვენგანი თავ-გადაგლეჯით ღხინს, დროს გატარებას ვეძებთ, — ვზოულობთ მათ და ვეძლევიტ კიდეც. ფული გავაღმერთედ, მას ვანატვალეთ ფოკალიკე.

* * *

რაც კი ოდნად მანინ თითის განმრეკას, წელის გამართვას თხოულობს ჩვენგან გვაშინებს, გვაფრთხობს; სიბუკითე, შრომა და მეცადინეობა გვაორებს...

* * *

ბოლოს... რაი ბოლოს? უკმაყოფილება! უკმაყოფილება თვის თავისადმი, უკმაყოფილება ვეველა გარს მოხვეუდ კაცთა და სეტყებისადმი. სიზარმაცეს მიჩვეული, ჩვენ გვეკარება შრომის ხალისი, გვეცლება გამაცხოველებელა იმედი, გული თვის ჩვეულებრივს სიჩვილეს და ღმობიერებას ჰკარგავს, სული სიმაღლეს და სისპეტაკეს, გონება სისწორეს და მართლ-მსჯელობას...

* * *

კაცის ბუნება ასეა: გულ-კეთილობა და სულ-მსნეობა მუდამ ვოფილა და იქმნების კიდევ გონების ამსანაგე, მისი თანაშემწე ვოველს საქმეში, თორემ თუ მათ შორის უთანხმობა ჩამოვარდა, მაშინ ჩვენ..

* * *

დაის, უშნოდ და უგემურად მიჯაგლავებს ზოგიერთის სიცოცხლე. სიმათლე და მართლ-მსჯელობა არ ეთანხმება ცხოვრების წესსა და ამიტომ ცხოვრების მოთხოვნილება იდეალს ვამჯობინეთ, კუჭი — გონებას, საყვადე — პატროსნებას, გარეყნილობა — წნეობას, სული კვ ერთად ერთი სპეტაკი საუნჯე ადამიანისა, მხოლოდ იმას-და ითხოვს და ცდილობს, რომ ლაფოს შესაფერი სიამოვნება მიიღოს სოღმე...

* * *

ბევრმა ნიანდაგი და წნეობრივი ძაფი დაკარგეთ, მოყვასთ მოყვრობა დაგეავწივდა, ცოდივლთ, შევიწროებულთ შებრადება მეტ ტვირთად შეგვექნა... არაფერი ღირს შესამხნევი, არაფერი საზოგადოებრივი არ ამუშავებს ჩვენს მეცადინეობას, არავითარი მოკვლეობა ვაღად არ გვაძევს... „ოღონდ მე ვიყო და თუნდაც ჰვა ჰვაზედ არ დარჩესო!“ აი, ჩვენი ლტოლვილების საწყო...

დედის პირმშო.

ს ა ს ც ე ნ ო ს ე ლ ო ვ ე ბ ა

ლიკცია

(გაგრძელება)



შირად აკტიორი ზ მაციერს ს სმარობს; ამ ასოების არევა როგორც სიტყვას, აგრეთვე აზრსაც აფუჭებს და აკტიორის ღაზანაკი სტენასა მიხედავს სოღმე; ზოგს კი ს სმარება სულ არ შეუძლიან მაგალითად ჩვენი მდამიო ხალხი ღაზანაკობს ასე: ვაქტანტილე, პრინტივაი, ჰტაკანი როტტომა ქრინტი და სხვა. ამის გასწორება ძალიან ადვილია. ამ ორ ასოს ზ და ს წარმოთქმის დროს ენის წვერი უთუოთ ზეკითი წინა კბილებს მიუბჯინება და მაშინ ს და ზ გამოკვევით ისმის, პირ-იქით, როდესაც ენის წვერი სსვა-და-სსვა მიზეზების გამო, კბილების გარედ გამოდის სოღმე, მაშინ კვ ორი ასო სრულიად იკარგება: ესლა როგორც ვსედავთ მიზეზი უბრადლო ვოფილა და მის აცდენაც უბრადლო საშვალბოთ შეიძლება, აკტიორმა უნდა სშირად ავარჯიშოს თავის ენა ამ ორის ასოს წარმოთქმით, ისე რომ ენის წვერი კბილების გარედ არ სცილდებოდეს და მაშინ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვით, რომ კვ ნაკლუვანება უთუოთ გასწორებული იქნება.

საზოგადოთ თუ აკტიორს რომელიმე ასოს წარმოთქმა უჭირდება — გავარჯიშებას შეუდგეს, ასევე, ათასჯერ წარმოთქვას ძნელი ასო, სანამ სწორს გამოთქვას არ დაეჩვევა. ურიგო არ არის აგრეთვე მთელი ანა-ბანასი თვითო ასოებით გამოთქმა და დასშირებული გამო-

რება—ეგ ადვილი მოსახდენია და იმავე დროს სხსარგებლაც. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აკტიონისათვის სიტყვებს მარცვლებით გამოთქმას (члено раздѣльно), რომ ამ საშუალებით თან-და-თან შეეზიოს ძველი სიტყვების მკაფიოდ გამოთქმას.

გარდა სსენებულის საშუალობათა ძრეულ კარგია აგრეთვე ენის ვარჯიშობა ანუ გემნასტიკა. — დაიდგით წინ სარკე და გამოევიოთ ენა, ეცადეთ რაც კი შეგიძლიანთ ძალიან გრძელად გამოევიოთ. შემდეგ მიაბრუნეთ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, — ბოლოს ასწიედ ზევით, მერე ქვევით, — ერთი სიტყვით იქმდინ გრესედ და აწვალეთ ენა, სანამ არ დაიღაფოთ — ამ ოპერაციის შემდეგ დაიწყეთ ძველი მარცვლების (члены) წარმოთქმა. აქ ჩვენ არ ვასახელებთ ძველი მარცვლებს და არც შეიძლება მათი დასახელება, რადგან ყოველს აკტიონს თავისებურად ემსახურება ასო და თავის ნაკლებს აქვს, რომელიც თითონაც კარგათ იცის, (ხოლო უმთავრესი და საზოგადოდ ძველი ასოებსედ ჩვენ კიდევ ვსთქვით ამის წინათ.) საზოგადოთ ყოველი ნაკლებს აქვს ადვილი შესასწორებელია შრომით და დაბეჯითობით.

ჩვენს საყოველღეო დაზარაქში სშირად გავიგებთ ხოლმე ასეთი სიტყვებს. „რა ტუბილთ დაზარაქობს, რა ტუბილი სმს აქვსო“ აქ სიტყვა ტუბილი იმიტომ არის ნახმარი, რომ ნიშნავს სასამოვნოს, რომელიც სება-ურსებლიედ გულის სვლება, მიდის სულის სამიწკველადინ და იქიდან თანაგრძობს გვიღვიძებს და გვიწვევს ხოლმე. გარდა ამისა ეგ ტუბილი დაზარაქია ადვილი გასაგებია და ყველა ეს დაზარაქს ტუბილად სდის. ასეთი ტუბილს და გასაგებს დაზარაქის მოხერხებას ჩვენს აკციენტუაცია და ინტონაცია. —

აკციენტუაცია შეეხება გამოთქმის გამორვეულობას, მის გაუმჯობესობას, სიტყვით, ენის ტენიანს, — ვიღოს გასწორებას.

აკციენტუაცია ვასწავლის სიტყვის ისეთ სწორს გამოთქმას — რომელიც მიღებულია ლიტერატურაში და მწერლობაში; ყველამ კარგათ იცის, რომ იმერლის და ქართულის დაზარაქი ძრეულ განსხვავდებიან კილოთ ანუ აკციენტით. სწორი აკციენტით ან ლიტერატურული კილოთ გამოთქმას უნდა შეეცადოდ დაეხვიოს აკტიონი, რომ მის სიტყვებს სისუფით და სელოვნური სიმშვენიერე ეტყობოდეს. ამის დაჩვენა ადვილია. თუ თვითონ კარგათ არ იცით ქართული ენა, უნდა სთხოვოთ კარგათ მტადნეს, რომ წიგნიკითხოსთ უკეთესი ადგილები ჩვენს მწერლობაში — ლექსები ან მოთხრობები. ეცადეთ ყური კარგათ დაუგლოთ; მერე წავითხული

თქვენვე წავითხეთ სმს მადლა და თუ შეგამცნოთ შეცდამები, სთხოვოთ, რომ გავისწოროს. ასეთი რეპტიცია ათჯერ რომ მოახდინოთ, მეთერმეტკჯერ, დაწმუნებული იყავით, თქვენ დასელოვნებით შეგიძლიანთ სსეებსაც გაუსწოროთ და ასწავლოთ კიდევ სწორი აკციენტუაციით ვითსვა და დაზარაქი.

აკტიონს სშირად ისეთის როლების თამაშობა მოუხდება ხოლმე, სადაც სმს უმთავრესი ადვილი უჭირავს; მაგალეთად: ჩვილ კაცის როლი, უძღურის, ან ცსოვრების ტვირთ ქვეშ მოხსენილი კაცის როლი სრულებით სსვა ნაირს სმს თხოულობს. — რა თქმა უნდა მაგისტანს როლებისათვის აკტიონმა უნდა მოსძებნოს ასეთი ტონები, რომელნიც როლის, ან ტიპის, ან სახითს უხდებოდეს; ეთანსძებნოდეს მდგომარეობას, წლოვანობას, წოდებას და ვითარებას — ეს ძველი საჭეკა, მაგრამ აკტიონი აქაც იზოვის გასაგებს გზას, თუ ვერძანის დაბეჯითობით და გულ-მოდგენით შეუდგება თავის მოვალეობის აღსრულებას.

როგორც წინეთ ვსთქვით აკტიონის სმსზედ და მოვიდებულის როლის ან სელოვნურად შესრულება, ან სრულად გაფუჭება; მეტადრე მამის, თუ როლი აკტიონისაზან თხოულობს სმის სიუსვეს. ეგ სმის სიუსვე და სიმდიდრე აკტიონს უნდება, იმ როლებში, სადაც საჭიროა ათას ნაირი გრძობების გამოხატვა, სმში სან ტირილი, სან წყენა, სან სისარული უნდა მიიხმოდეს. ასეთი სსვა-და-სსვა გვარ გრძობათა სმით გადაცემას და მის საშუალებას ჩვენს ტემბრი, ესე იგი გრძობათა ისეთი გამოხატვა (оттѣненіе) რომელიც აშკარად უნდა გვიჩვენებდეს სასათის, ან ტიპის სუფიერე მდგომარეობის.

ტემბრთან უთუოთ საჭიროა მოდულიაცია — ესე იგი ერთი ტონიდან მეორე ტონზედ შეუმსწევლი, ზოგიერთი გადასვლა. — სშირად ასე მოხდება, რომ როლის აღსრულების დროს აკტიონმა ბევრი სსვა-და-სსვა გრძობები უნდა დაგვიხატოს; გრძობანი და მდგომარეობანი ყველა თვითოულად იქნება კარგათაც იქმნენ წარმოდგენილნი, მაგრამ ამით საჭე როლი თავდება — უთუოდ საჭიროა, რომ აკტიონმა ერთი სმიდან მეორე სმსზედ ისე სელოვნურად გადავიდეს, რომ არამც თუ მავურებულებს, არამედ თვითონაც არ შეამნიოს გადასვლა ერთი სმიდან მეორეზედ, ანუ ტონების ზომიერი მიმდინარეობა, ესე იგი მოდულიაცია.

თუ აკტიონი სწორის აკციენტუაციით, ტემბრით და მოდულიაციით დაზარაქობს — ესე კიდევ იმს არ ნიშნავს, რომ იგი დასელოვნებულია დიკციაში. — შესაძლებელია, აკტიონმა ყველა შემოხსენებული დიკ-

ციის ზირობანი იცოდეს, მაგრამ მინც ვერ მოახდინოს ჯეროვანი შთაბეჭდილება. სენაზედ დაზარატი მეტად მსელი და რთულია. შეიძლება აკტიორის ღაზარატი, გამოთქმა ტესნიკის მსრით კარგიც იყოს, მაგრამ, ვიპოვებთ, მარტო ევ არ კმარა. საჭიროა აგრეთვე აკტიორმა თავის ღაზარატი სული შთაბეროს, სიბო მისცეს, გრძნობა და აზრი შთაანერგოს, რომ ცხოველის გამოთქმით თამაშობის დროს მოგვეცეს სრული ილიუზია, ესტეტიური დაკმაყოფილება. ეველამ კარგათ იცის, რომ ერთი და იგივე წინადადება შეიძლება სრულებით სსვა-და-სსვა ნაირად წარმოითქვას. ზოგს ისე შეუძლიან დეითს წყალობა გითხრას, რომ იქნება ამ წყალობისათვის კარგი სილაც უთავზო. რა მიზეზია? მიზეზი ის არის, რომ ყოველი სიტყვა კერძოთ და ყოველი წინადადება საზოგადოთ შეიძლება ითქვას სსვა-და-სსვა ტონებით, სსვა-და-სსვა სმით, სსვა-და-სსვა გრძნობებით. სმა იმიტომ არის ეველამ მუსიკალური იარაღებსედ უმჯობესი, რომ რაც გინდა და რაც გსურს ის შეგიძლიან ამ ბუნებრივ მუსიკის საშუალებით გადასცე და გაუზიარო შესს მსმენელს.

ხერხს, შითაც აკტიორი სიტყვებს აცხოველებს, აზრს აფრთხილებს და გრძნობებით იწვევს ჩვეს თანაგრძნობას და უგრადლებას—იმ ხერხს, იმ საშუალებას ჰქვია ინტონაცია. სრულებით მცირე და უბრალო სმის აწვევად ან დაწვევად დამოკიდებულია ევეტიტის მოხდენა წარმოდგენის დროს, განსაკუთრებით პატეტიური ადგილებში—აკტიორის ნება ყოფილობა შით ერთს რომელიმე სიტყვას ან წინადადებას მეტი ყურადღება მიაქციოს ან მალე წარმოსაქვას, ან კი სულ ჩუმად, ან არა სმა მალდა, ან ეველამ ერთად შსაზა-შსუშით.

საზოგადოთ დივიცია და კერძოთ ინტონაცია უფრო მეტს დაკვირვებას და ცოდნას თხოულობს მოთამაშესაგან ვიდრე რომელიმე რბერის არის მღერა, ერთს მცირე მარტვალს, რომელზედაც აკტიორი ან გაჩერდება, ან მალე წარმოსაქვამს, შეუძლიან სრულებით გააფუჭოს მთელი წინადადება,—ზირ იქით, თუ ისეკ ის მარტვალი ან სიტყვა სსვა დროს ჯეროვანის და მართლის ინტონაციით წარმოითქმის, მაშინ სულ სსვა სსიათს და მნიშვნელობას მისცემს, გააცხოველებს და გააზროვანებს სიტყვას, წინადადებას და როლის სსიათსაც.—

კარგი ტემპირის და მოდულიციის შექნა შეიძლება სშირი სიმღერით.—საზოგადოთ სიმღერა აკტიორმა ცოტად მინც უთოთ უნდა იცოდეს; ჯერ ერთი, ყურთა სმენის განსაკუთრებულთ საჭიროა, რად-

გან სმენას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს აკტიორს სელფრებაში; მეორედ, სიმღერა სმას ასუფთავებს და ანაზებს, აძლევს ძალას, სიწმინდეს და ტემპირი და მოდულიცია ხომ განსაკუთრებით სიმღერით კეთდება. ურიო არ იქნება, რომ აკტიორმა სიტყვები და სსინდისსან მთელი მონოლოგებიც მღერით ისწავლოს. ამ საშუალებით სამნაიში საზოგადობას მიაღწევს: როლის და მსელი მონოლოგების მტკიცეთ შესწავლას, გამოკვეთი გამოთქმის ტემპირის და მოდულიციის გაუმჯობესობას.

საქმეს უფრო ამწლებს ინტონაცია; აქ აკტიორს თვითონ საკუთარი ნიჭი და სკდმიწვენა უნდა ეუბნებოდეს: რა ადგილი, რანაირის ინტონაციით სიტყვას. საზოგადოთ კი როგორც სიმღერა, აგრეთვე სშირი გამოერება სსვა-და-სსვა ტონით ერთი და იგივე წინადადებათს ინტონაციას მალან შეგლის. ევ სშირი გამოერება აუცილებელია სწორის ტონის მიჩვევისათვის; გარდა ამისა მრთელ კარგია, რომ უცხო ზირს წაკითხინოთ თქენი როლი, კარგათ ყური დაუგდოთ და დაკვირდეთ მეთსგელის ინტონაცია. თქვენს უფლებათა სწორის ტონების დასაკუთრება და ყალებების უარყოფა. მერე მეორეს, მესამეს და მეოთხესაც სთხოვეთ წაკითხვა, სანამ თქვენ ყოველის მსრით არ გაიგებთ როლის შესაფერს ინტონაციებს.—ევ უგანასენელი რჩევა ფრთად საჭირო და სასარგებლოა, არამც თუ მარტო დივიციის გასსწორებულთ, არამედ როლის შეტნებისათვის და სელფრერი თამაშობისათვისაც.

დეკლამაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს აკტიორს ნიშებს (Знаки препинавия) საზოგადოთ ყოველს ლიტერატურულ ნაწარმოებში ნიშებს არა მეორე ადგილი უჭირავთ და აკტიორს სომ მომეტებელი დაკვირება ჰმართებს ნიშების სმარებასედ, რადგან უამისოთ კითხვა და ღაზარატი, სწორი, სელფრერი დეკლამაცია ყოველთ შეიძლებელია. მიმიქს, წერტილს, კითხვითი და გაკვირებითი ნიშებს ყოველს თვითოუადა თავისი დანიშნულება და სსიათი აქვს. ლიტერატურულ ნაწარმოებში და წერა კითხვაში ნიშების დასმა და სმარება დრამატით შესწავლებას სოლმი, მაგრამ აკტიორს საქმი ცოტად უჭირდება, რადგან სემოსსენებული ნიშები აკტიორმა სმით ისე უნდა გვიჩვენოს, თითქოს მყოურებული თვალთ ხედავოს, რომ ამ და ამ ადგილას ეს და ეს ნიშანი ზის. რა თქმა უნდა, რომ ევ ადვილი არ არის და მაგში დასელფრება აკტიორს შეუძლიან მსოლოდ პრავტიკით.—საჭიროა უკეთესი დრამატული და პოეტური ნაწარმოებთა სშირი კითხვა, შესაფერი ყურადღების მიჩვენა ნიშებსედ და

ამასთან ყველა ნიშნების სმით გამოხატვა,—ესე იგი დროულად შედგება, შესრულება, სან განკვირება და სხვა.

ჩვენ შეგვიძლია ამ მოკლე აღწერით გაგვიანებინა წერილი დივიანიად, მაგრამ კიდევ დაგვრჩა ერთი საგანი, რომელიც ჩვენის აზრით ძირეულ საჭიროა.—ეკ არის რითმი.

რითმი ღაზანაკში ან დეკლამაციისში არ ნიშნავს მუხივალურ რითმს, ან განზომიერებას (ТАКТЪ) და აი რატომ: თუ აკტიორი რომელიმე წინადადებას ან როლს წარმოსთქვამს მშუენიერის ინტონაციით, სწორის მოდულინით, ჯეროვანის აცენტუაციით, რბილი ტემპით—ერთი სიტუვით ყოველივე დეკლამაციის წესებს დაიცავს, მაგრამ იმავე დროს, თუ წინადადება მოკლებული იქნება რითმს, მაშინ ჩვენ დანწმუნებით შევიძინებ ვსთქვათ, რომ მისი ღაზანაკი ჯეროვან შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს თუნდაც, როგორც წინეთ ვსთქვათ, ყველა დივიანის კანონები და წესები დანული ჰქონდეს.

არისტოტელი თავის „რიტორიკისში“ აი რას სწერს: Разсуждая о голосѣ можно установить, что онъ соразмѣряется съ каждой страстью, которую требуется изобразить—то сильной, то слабой, то средней,—смотря по тому, которое онъ въ состояннн принять—то острой, то важной, то посредствующей, смотря по нѣкоторымъ ритмамъ, подходящимъ ко всякому данному сюжету, въ которыхъ различаются обыкновенно три оттънка: величiе, гармонiя и размѣръ“ აქედან შეიძლება დანახავს, რომ რითმი როდია ზომიერება, არამედ რითმისში ისტება დიდობა, ჭარბობა და ზომიერება. და მართლაც, რითმი არის ღაზანაკის სული, რომელიც მდგომარეობის დაგვარად იცვლება და იმავე დროს სცვლის თვით ღაზანაკის სხისათს, მის მიმდინარეობას, ერთი სიტუვით ამდევს ისეთს ფერს, რომელშიაც თვითონ არის შეღებული.

საინტერესო ცნობას გვაძლევს ატრეთვე ფილოლოგისი: შლაცანი: Движенiя музыкальныя родственны движенiямъ нашей души. Музы даровали намъ музыкальную гармонiю, чтобы доставить намъ возможность соразмѣрить соответственной и подчинить ей законамъ безпорядочныя движенiя нашей души, подобно тому, какъ они даровали намъ ритмъ для измененiя и улучшенiя манеръ большинства людей, лишеныя ритмичности и грации,“ აქედანაც აშკარად სჩანს რა დიდი მნიშვნელობა აქვს რითმს ანამც თუ ღაზანაკისათვის, არამედ ჩვენი სავსებულდღეო მოძრაობისათვის, მიხვრა-მოხვრისათვის.

ვალიკო—ია.

(გავრძელება იქნება.)

სელოვნური ზოგისია.

მ გ ო ს ა ნ ს.

მგოსანო, მესმის ეგ გულ-საკლავი შენი სიმღერა და აღლვებულს ან მასკენებს მეც გულის ძკერა; მსურის შენსა ხმას შევეუროთ მეცა სიმღერა, რომ გულ-მევენესრემ გამოვხატო მწარ ბედის წერა.

მესმის ხმა ტკბილი, იგივე მწარე, გულის საკლავი ძაღონებს, მტანჯავს... მენატრება შვიი საფლავი; არა მშორდება შვიი ფიქრი, ბოროტი, ავი, — აწმყო ცხოვრება შეუბრალი და გულის-საკლავი.

ხან გამოხატემენ სიმნი უღერით ხმას მოსაღსენად, ხან დამფიქრად, აღმაშეფოთრად და მოსაწვევად, ხან წარსულისა მოგონებით გულის სატკეპლად, ხან ერთის წამით გასართობლად, გულის საღსენად.

კამარა-შესწევითე! მოახვენე აწ ჩემი სმენა. გლოვის ზარვით გულსა მხედება, ან ძაღმის თმენა, ნუ დამადრეკე, ვითა მუნჯი დამიბი ენა, ნუ მაწვევლინე უბედურსა მე ბედის წერა.

ენინა ნ. ორბელიანისა.

რა მომწონს შენი?

№ ს

რა მომწონს შენი?—კარგი ქაღობა, ეგ თავმდაბლობა, უცხო ზრდილობა; შენი სინაზე, შენი სიტურთე, შენი კეკლეტი შეხედულობა!



რა მომწონს შენი?—ტოთილი გული, ეგ უცოდველი, მტრედივით, სული; უორზობობა, ეგ ზირ-ძიქმელობა; გრძობა უფასო, აწვევაუული!



რა მომწონს შენი?—ტეკა დამჯადობი. გამჭრისობა, ქცევა დამჯადობი... ეგ სავარელი შენი ჭიკ-ჭიკი, თაფლსე, შეჭარზე მეტად დამტკებაბი,;

X

მაშინს—მოშინსარ, გეტრფი, გიგალობ!
გფიდავ—შენს სასელს დმერთებრ ვლოცულობ;
გულს, სულს, ცრემლს, გრძობებს გუნდრუჟად გიჟიქ!
მარჭვი! გასსოვარ? გიყვარვარ? შწუალობ??

გ. თორელი.

[წიგნი]

✓ დ ე დ ი - ჩ ე მ ი ს ნ ა ნ ა .

მე რომ გაუხნდი დედა ჩემს, სწუეკლიდა თავის ბედსაო,
სწუეკლიდა მწარედ, ჭკითინით ჩემი გახენის დღესაო,
სწუეკლიდა!... თან ნორხს გულსედა მსხსავდა ცსარე
ცრემლსაო,
ამ ცსარე ცრემლსა, გულ-მდედრად, მოსძასდა ამგვარს
სმეუსაო:

„უქანოვ! ნდობის თვალთა შეჭსარი ნათელს მესესაო,
არ იცი რა დღე მოგეღის, უბედო დედის ძესაო!
როგორც რომ დედა ვერ ასცდა მშობელთა მწარე
სუედრსაო,
სიკვდილამდისინ ვერ ასცდებ შენცა ტანჯვას და რე-
სლსაო!

„რა რომ მოისვამ თავსედ სელს, იცნობ ჭეყანას
ჭრელსაო,

იცნობ მტერსა და მოყვარეს, უცნოს და მეტყინოსაო,
შენი მოყვარე შენს სამტროდ მტერს მოგვსეკე უელსაო,
შენი ტანჯვით და წამებით, მას გაუხნებებს ბნელსაო!
ვისაც გაუღებ წრფელს გულსა, მოყვრის წილ ჭხოკებ
გველსაო.

გულს შხამს შთაგწურვენ, გრძობათა მისცემენ ცრესლსა
ცრესლსაო,
და სისარულით, ხარხარით, ზედ მოითობენ სელსაო!“

დაჰმედრდა ამ გულსაკლავს სმებს თავის უსუსურს ძესაო,
მოსთქმიდა, მწარედ ჰგლოვობდა ჩემსა მომავალს ბედსაო,

თან მსურვალეთა მიკრავდა თავის მუქუს და მკერდსაო,
ძთანინ ამლეკდნენ ზარით ბანს ამ მწარე გლოვის სმეუსაო.

აჰ, ამისდა სულეუკლა: გზას ვედარ უძნებ ბედსაო,
ძმა ქვასა მესვრის, და სატრფო ჩემს მტერს ესეკვ
უელსაო.

ფურაბ მოენიქ.

[წიგნი]

თეატრის კვირა

ვისი ბრალია?

(მოთხრობა დესპოტულისა)

I

ო-სას რომ მივედი მოწვეული სტუმრები
თითქმის სულ შეყრილიყენენ და ტანციობას აპი-
რობდნენ.

— ლილია მიხაილოვნა სადლა არის? მკითხე
მის დელას.

— თავის ოთახშია. მხლა აქ იყო და თავს
იტკიებდა. წადით გამოიყვანეთ, თქვენ დაგიჯერებთ.

მხოვენა აღარ გავეამერებინე და მაშინვე წა-
ვედი. მე თვითონ ძალიან მსურდა ჩემი კარგი
ლილიას ნახვა, ჩემი საყვარელი შეგირდისა, რომე-
ლსაც ამ უკანასკელ დროს იშვიათად ვხედავდი.
მთელი ხუთი წელიწადი ჩვენ დიდი მგებობები ვი-
ყავით, ლილია თითქმის ჩემ თვალ-წინ გაიზარდა.
ამ ხუთის წლის წინად ყოველ დღე ერთსა და იგი-
ვე დროს დავდიოდი მასთან, ვასწავლიდი და ვაძ-
ლევიდი ახალ გაკვეთილებს და ვცდილობდი მალე
დამეღწია თავი თოთხმეტის წლის ქალისაგან, რო-
მელიც ბიჭვდ უარესი ცელქი იყო. მართაშად
ხუთის წლის შემდეგ ეს პაწია ცელქუნა გადაიტკა
ახლოვანდა ქალად და მერე ისაც-რა ქალად? ჩემს
თვალში ლილია მშვენიერი იყო, თუმცა ეს სიმ-
შვენიერე იმ სინორჩით, იმ ჯან მრთელობით არ
ჰფეთქდა, როგორც სოფლის ქალები. ამ მხრივ
მას ვერაინ შენატრიდა. მაგრამ საკმარისი იყო
შეგებენდა მისი ლაქვარდოვან ფიქრით მოცული
თვალებისთვის, იმ ნათელ შუბლისათვის, ჩაცვიე-
ნილ ლოყებისათვის და სახის მკრთალისათვის,
რომ აღვსილიყავ რაღაც გამოუთქმელის კრძალვით
წინაშე მის გონებრივ სილამაზისა. ბონებით და
გრძნობით ჰფეთქდნენ მისი ტურფა-სახის მშვენიე-
რი ნაკუთნი, რომელშიაც გამოსტყვრეტდა, რო-
გოც სარკეში, იშვიათი ხასიათი ლილიასი.

ლილია, კუმეტკაზედ წამოწოლილი, შლიდა
ფრანციტულს მხატვრობით ყურანალს და თითქოს
ისე იყო გართული სურათების სინჯვით, რომ ჩე-
მი შესვლა ვერც კი შენიშნა.

[წიგნი]

[წიგნი]

— რა ლამაზია! გავიფიქრე უნებურად და საინლად მეწყინა, რომ მე მისთვის შინაური კაცი ვიყავი, მაგრამ საჩქაროდ განვლენე ეს ფიქრები. მომაგონდა, რომ ლილია ამ ცოტას ხანში სხვისა შეიქმნებოდა, რომ მას სხვა უყვარდა. ლილიას საქმრო ჰყავდა.

— რას მოგიწყენიათ? შკითხე მე და მის პირდაპირ სავარძელში ჩაეჯექი. მაგრამ ჩემი კითხვა უადგილოა, ცხადია რისთვისაცა ხართ მოწყენილი. ჩქარა დაბრუნდება თქვენი საქმრო?

— ლღეს წერილი მივიღე. აი იქ სტოლზედ ძვეს, აიღეთ. საქმეებმა დამაგვიანესო, იწერება.

— ბესმისთ? შთხარი მე და თან დავმღერე იმ ვალსს, რომლის ხმაც ზალიდვან მოისმოდა.

ლილიამ ოდნავ გაიღიმა.

— ჩემს გასართობად შემოხვედით?

— სწორედ. მაგრამ, საუბედუროდ, გართობა არ ვიცი.

— ძალიან კარგად სჩადით, რომ არ იცით, მაგრამ მე ისეთ გუნებაზედა ვარ, თუნდა შეგეძლოთ კიდევ, მაინც ღღეს ჩემი გამხიარულება ძნელი იქნებოდა. გულზედ რაღაც შემომამწვა. მს იყო ეხლა ისე უნუკემოდ ვგრძობდები ჩემს თავს... ძალიან მოხარული ვარ თქვენის ნახვისა. ღიახ, ამისთანა წამებში მხოლოდ თქვენი ნახვა მსურს ხოლმე.

— ღიდათ მოხარული ვარ, მხოლოდ მე გთხოვთ ამისთანა შემთხვევებში, რაც შეიძლოთ, იშვიათად ისურვეთ ხოლმე ჩემი ნახვა.

— ძარგით ერთი, თავი დაანებეთ მაგ კილოს. ღიახ, ეხლა ბევრი საფიქრებელი, საყოყმანო და სადარდებელი მაქვს, რადგან უსაგნოდ სიცოცხლე ჩემთვის სიკვდილზედ უარესია.

— მაგაზედ რაღად ფიქროფთ? თქვენ უნდა ამბობდეთ მაგას—თქვენ, მაგისთანა გულ-დაჯერებული და მძლავრი ქალი.

— მე ყველა ჩინებულაია...

— ხომ გიყვარსთ თქვენი საქმრო?

— მიყვარს? რასაკვირველია, მიყვარს. მიყვარს გამოუთქმელად, განუსაზღვრელად. მს გრძობა სწყვეტს მთელს ჩემი სიცოცხლის ბედ-იღბალს. შევიძლებ-კი იმის გაბედნიერებას? მეც თითონ ვიქნები ისეთი ბედნიერი, როგორც მე მესმის ბედნიერება. მიყვარს-კი... მეკითხებით თქვენ... რამოდენიმე ხანია ის შეიქმნა ჩემს მეორე „მეთ“, ჩემს კერაბთ, რომელსაც მზა ვარ ყოველივე ეფუ-

სხეერპლო. მასი შეხედულება, მისი რწმუნება ჩემს სარწმუნოებად შეიქმნენ. მე ვგრძობ, რომ ჩქარა ფიქრსაც-კი თავს დაფანებებ, მისდამი რწმუნებამ ყოველივე შთანთქა და ისე დამიპყრო, რომ აღარც კი ვიცი: კარგი კი არის ესა? ბედნიერებაა? ის არის, რასაც ჩვენ, ჩვეულებისამებრ, სიყვარულს ვეძახით?

— თქვენ,—განაგრძო ლილიამ ღიღის ხნის ფიქრის შემდეგ,—თქვენ ჩემთვის ყველაზედ უფრო დაახლოებული და საუკეთესო მეგობარი იყავით. მე ძმები არა მყვანან, თქვენში ვბოვე კეთილი და განიერი ძმა. თითქმის თქვენს თვალ-წინ გავიზარდე, თქვენთან ერთად ვადავითანე ვასაჭირი დრო ჩემის სიცოცხლისა და შევიქენ ის, რაც ეხლა ვარ. თქვენ რომ არა მყოლოდით, ხომ შეიძლებოდა ეს ასე არ მომხდარიყო. ამ ზნეობითი აღზრდისათვის ყველაზედ მეტად თქვენი მოვალე ვარ. ჩვენ ერთთ ბევრს ეკითხულობდით, ელაპარაკობდით და ბევრს რასმე სულ სხვა ნაირად დავუწყეთ ყურება, მაგრამ განა ჩვენ გვიცხოვრნა? შეგვიძლიან კი ვიფიქროთ, ვითომ ცხოვრება ჩვენც შეგვეხო, რომ ჩვენც ვიგრძენით და გამოვიარეთ ცოტა-რამ მაინც ცხოვრების მზგავსი? იცით, ხან-და-ხან მე მგონია, რომ თქვენზედ უფრო გამოცდილი ვარ; მე როგორღაც ინსტინქტიურად ვგრძობ, რომ ცხოვრებაზედ იმგვარი შეხედულების ქონა არ შეიძლება, როგორც შეხედულება თქვენა გაქვსთ შედგენილი. ცხოვრება უფრო წამხდარია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. ამ შემთხვევაში ქალები უფრო შორს გამჭრეტენი ვართ და ბოროტს იქ ვხედავთ, სადაც კაცებს ექვათაც არ წარმოუდგებათ მისი არსებობა. ბევრი ვეძიეთ მე და თქვენ, ბევრიც ვიბოვეთ, მაგრამ სადა? წიგნებში. მათი აღარა მჯერა-რა, ცხოვრებას კი ისე არ ვიცნობ, როგორც ამ წამსა მინდა ვიცნობდე; რაღაც ბნელად მაქვს წარმოდგენილი, მაგრამ ამავე დროს მე თითონაც ვერ ვარჩევ: კარგია თუ ავია. სწორედ რომ ამ უკანასკნელ დროს ავად ვარ ამოდენა კითხვებით გარემოცული. მერე ისიც არ ვიცი როგორ გადავწყვიტო. მქვი ექვზედ გეპარება თავში, მერე იმისთანა ექვები, რომლებზედაც არის დამოკიდებული მთელი შენი, ბედ-იღბალი და მომავალი. ცხოვრება კი იქამდინ არ გიცდის სანამ მიღწევე მტკიცე „ჰო“ ან „არას.“ რომელიმე რომანის გასარჩევად შეიძლება სჯა ასეც და ისეც იქონიო. სიტყვით როგორც გინდა ისე გადაწყვეტთ ამ კითხვებს, მაგით არავის არა დააკლდება რა, არავის სიცოცხლე არ მოეწამლის;

მაგრამ როდესაც სიცოცხლე გაძლევს კითხვებს და ყინით თხოულობს პასუხს ეხლავე, ემ წამსვე?—მე ძნელია! რაც უნდა სთქვათ, ამ შემთხვევაში არა ვითარი ძალა, არა ვითარი რწმუნება არ გადურჩება უქალურებას.

— თქვენ მეტის მეტად ღრმად უკვირდებით, ლილია მიხაილოვნა. მასთანავე სრულად არ მესმის რათ უყურებთ ცხოვრებას უექველად ასეთი მგლოვიარე და არა ნათელი ფიქრებით? მგრეთი უკმაყოფილება თქვენისთანა ყმაწვილ ქალში არა ჩვეულებრივი მოვლენაა. ლიბსკი იმისთანა კაცია, რომ მასთან ერთად თამამად შეგიძლიანთ შესდვათ ფეხი ცხოვრებაში.

— ოჰ, რა კარგდ ლაპარაკობთ ყველანი, — სთქვა ლილიამ; რა ჩქარა გადასწყვეტთ ხოლმე ყოველ იქნეულებას. თქვენ თავიდან ბოლომდე ცარიელი სიტყვა ხართ; ქალი კი იშვიათია ასეთი. თქვენ ყველაფერი წინააღმდეგ გადაწყვეტილი გაქვსთ, ყველას წინააღმდეგ ხედავთ და ხსნით. თქვენ თქვენი ნების იმედი გაქვსთ და მით გინდათ სძლიოთ ყოველი გარემოება, მაგრამ განა ცოტანი გინახვანან იმისთანანი, რომელნიც ამავე გარემოებას გაუტეხია, თუმცა ძალა მათაც არა ჰკლებიათ. ცხოვრება თავისი დაუსრულებელი, უთვალავი სხვა-და-სხვა შემთხვევით უბრალო რამ არის თქვენთვის.

პი ისიც, — განაკრძო ლილიამ — ეგრეთივეა, როკორც ყველა თქვენ, ვაჟ-კაცები; ის იტყვის ხოლმე: მე ასე მინდა და ასე იქნებაო. ამ ძალას მასში მე პატივს ვცემ და მიყვარს მისი ამგვარი სიმხნევე, მაგრამ ხან და ხან კიდევ მამბრახებს- რამდენადაც კი შეეძიებლ ცხოვრების დაკვირვება მე მგონია, რომ ცხოვრება კაცის ნებაზედ უძლიერესია.

ჰველა თქვენგანი სცხოვრებს, ფიქროფს და გრძნობს ადრევე შედგენილ წესის დავარ და უკუ-დგომა შეუძლებლად მიგაჩნიათ. თქვენ არ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა ნაირად შეუძლიან ხან-და-ხან ქალს სიყვარული და რამდენად შეუძლია ამ სიყვარულს ზედ გავლენა იქონიოს მახზედ. არ ვიცი კანონია თუ შემთხვევითი მოვლენა, თუ შედეგი ჩვენში საზოგადოების წყობისა ანუ აუცალელებელი ბედის-წერა; მხოლოდ ეს ვიცი, რომ ჯერ-ჯერობით თქვენ და მხოლოდ თქვენ, კაცებს, შეგიძლიანთ ჩვენი გამხნეება, და შეე-ლა, რომ გავმაგრდეთ იმ სიმალეზედ, რომელსაც ჩვენ ხან და ხან ვახწევთ ხოლმე... მე იმ ვინწრო

პირად ბედნიერებას არ ვეძებ ცხოვრებაში, რომლითაც სრულიად დაკმაყოფილებოდა სხვა ქალი. თქვენ ეს კარგათ იცით. მოიგონეთ ჩვენი ოცნებანი, ჩვენი იმედები, მოიგონეთ, რა გაბედვით ეუყურებდით ჩვენს მომავალს! ბანა ეხლა ისლან? თქვენივე სიტყვით განესაჯოთ—განა თქვენ თითონ ბევრში არ მოსტყუვდით? მართალია, ჩვენ ისევე ისა ვართ რაც ვიყავით; ერთნაირად გვამხნევენ იგივე აზრები, რომელნიც თქვენ შემავანეთ ოდესმე თქვენი მხურვალე და წრფელის სიტყვის ძლიერებით, მაგრამ თქვენ თითონ გასინჯეთ, რა განსხვავებაა ჩვენში და რამდენიც ხანი გავა იმდენი ეს განსხვავება თან-და-თან იმატებს.—თქვენ თქვენი საგნის მოწვევისათვის ყოველასფერზე უარი ჰყავით. თქვენ სრულიად გაგიტაცათ თქვენმა ოცნებამ. თქვენ იტანჯებით, თქვენ საუკუნოდ განშორდით იმას, რასაც ხალხი ბედნიერებას უწოდებს. ბანა ეს თქვენთვის ადვილია? არა. მე მინახეხართ თქვენ საშინელს უბედურებაში, მინახეხარ დაუძლურებული აუტანელს ტვირთ ქვეშ. თქვენ იბრძოდით მაინც და გქონდათ საშუალება კიდევ ბრძოლისა. შემდეგში უფრო მეტს ტანჯვას გამოივლით, ბევრს ძალას დაჰკარგავთ უნაყოფოდ, რომელიც სხვა დროს უფრო უკეთეს საქმეზედ შეგეძლოთ მოგეხმარათ.—მაგრამ თქვენ იმედი მაინც გიღვივისთ მომავალში, თქვენთვის შორს მოჩანს ის სასურველი ნათელი, რომელიც, ადრე თუ გვიან, თქვენ საგანთან მიგიყვანსთ, თუ ეგრეთი დარჩით, როგორიც ეხლა ხართ და არ შეიცვალეთ.

— ძალები-კი რა მძვამარეობაში ვართ? რასაც თქვენ ჯაფით და ცდით მიადწევთ ხოლმე ჩვენთვის ოცნებად, უნაყოფო აზრად რჩება. ჩვენ და ჩვენს უძლურებას ნუ დადებთ ბრალს, გამტყუენთ ის თავნები აუცილებელი ძალა, რომელსაც თვითვეული ჩვენგანი ვერას დააკლებს. ქალი რაც უნდა მძლავრი იყოს, გარს-მყოფი საზოგადოება აუძლურებს მას; რაც უნდა თავისუფალი იყოს საზოგადოება თავის მოწად გარდაქცევს მას. თქვენ კარვად იცით, რომ ეს ბედი მარტო ქალებს ხვედრი არ არის, ჩვენზედ თავისუფალნიცა ხართ, ღონიერნიც, მაგრამ არც იმდენათ, როკორც თქვენ გვანიათ. ბევრი რამ არის იმისთანა, რომლის გადაცილებას თქვენც ისე აკარძალვენ, როგორც ჩვენა. ხომ იყო იმისთანა დროც, როცა ის საქმე, რომელსაც ახლა თქვენ უძვირფასეს საქმეთა

სთელით, მაშინ მხოლოდ აუხდენელი ოცნება იყო და რომლის არამც-თუ აღსრულება შეიძლებოდა, ხმა მაღლივ წარმოთქმაც საშიში იყო.“

სანამ ლილია ლაპარაკობდა მე გულმოდგინედ ვაკვირდებოდი მის ახალგაზდა, თითქმის ბავშვით სახეს. მხედავდი რა რიგის სიმხნევით და გრძობით ელვარებდნენ მისი თვალები, რა რიგად ენთებოდა ლოყები მღელვარებისაგან და გულ-საკლავი ფიქრები არ მასვენებდნენ. როგორღაც არა მჯეროდა, რომ ლილია ბედნიერი შეიქმნებოდა. „ადრე დაბადებულხარ, საყვარელო ბავშვო, — გავიფიქრე მე. — შენი მოთხოვნებილია მოთხოვნებილია მომავლისა და ვაი იმას, ვინც მაგ მოთხოვნებით სხვაზედ ადრე გვესტუმრა ამ ქვეყნად!“

— ამიტომაც—განაგრძო მან—ვეძებთ ჩვენ შეველას, ჩვენ ვსაპირობებთ იმისთანა ძალას, რომლის მფარველობის ქვეშ შეგვეძლოს აღსრულება ჩვენის სურვილისა. და რაც უფრო ძლიერია ეს სურვილი, რაც უფრო განუზარებელია იდეა, რომელმაც ჩვენ მთლად შეგვიპყრო, — მით უფრო ძვირუფასი და საყვარელია ჩვენთვის ის კაცი, რომელშიაც იგი ძალა განხორციელებულია, რომელი-ღაც ჩვენ ვბოვებთ თანაგრძობას ჩვენის ლტოლვილებისადმი, ვისი სიცოცხლეც და რწმუნებაც ჩვენს საკუთარს რწმუნებას და სიცოცხლეს ეთანხმება. სიყვარული ყოველად შემძლებლად გვხდის, მაგრამ მასვე შეუძლიან დაგვლუპოს სამუდამოდ და მიგვალწვეინოს გონებითი დაცემამდე. და თუ მოსტყუედი მასში, რაც იდეალად მიგაჩნდა, რაც გრწამდა ამ ქვეყნად ყველაზედ მეტად, რასაც აღმერთებდი, — მაშინ შენთვის ყოველივე დაკარგულია და მასთან თვით შენც იღუპები. იშვიათად გამოვა იმისთანა ქალი, რომელმაც ხელ-მეორედ დაუწყოს ცხოვრებაში ძებნა იმავე იდეალს მაშინ, როდესაც მას გული უკვე გაუტყდა, როდესაც მან ვერ ჰპოვა იდეალი იმ კაცში, ვისაც შესწირა ყოველივე, ვისთვისაც დაჰკარგა საკუთარი აღტაცება, გულის-წაღილი ყოველი გრძობა და ყოველი ძალა. მაშინ მას ეკარგება რწმუნება თავისი იდეალის აღსრულებისა, რწმუნება ხალხისა და სიყვარულისა. ჰოველი ჩვენი ძალა თქვენზეა დამოკიდებული. თქვენ თუ ძლიერნი იქმნებით, კეთილნი, მაშინ ჩვენც ისეთნი შევიქმნებით, როგორნიც თქვენა გსურსთ, რომ ვიყვნეთ. ლანდებთ თავი ლაპარაკს ქალების განათლებაზედ: იგი უსარგებლოა იქამდინ, ვერცე სა-

ზოგადობაში არ აღიძვრის ლაპარაკი და წადილი კაცების განათლებასზედ.

ალენე.

(დასასრული იქნება)

თეატრი და მუსიკა.

ამას წინათ ცუტცაში ერთს ახალ-გაზდა და ნიკიერს არტისტებს სტუკინით სწორეთ სიკვდილამდე მიადწვეინეს. ეს არტისტკა ავად იყო მავრამ რაკი უშინდა, რომ მისი როლი მის მეტოქისათვის არ გადაეცათ ძალა დატანს თავს და გადასწვეიტა ამ როლის აღსრულება. ამ ქალის მეტოქის მეტობრება და თუყვანის მცემელებმა იმდენი უსტუკინეს საცოდავს არტისტკა—ქალს, რომსირცხვილისა, წყენისა და ჯავრისაგან გულ-მოკლეულმა ქალმა ჭკუშსაკეამდის ძლიერს მიადწვივა, გასდა ავად ტენის ანთებით და მოკვდა.

რომ უზომო თავ მოყვარება ყველა ავტორს არა სჭირს ზნედ—ეს ამდღეებში ერთმა საუკეთესოდრამატიულმა მწერალმა, შაალო ჭერარომ, ნათლად დაამტკიცა. მისი ახალი პიესა „Signor Lorenzo“ არ მოეწონათ. ჭერარომ, თეატრიდამ გამოვიდა თუ არა, შეიძლება ტელეგრამმა გაუგზავნა გასუთებს: „Signor Lorenzo“-ს პროლოგი მოეწონდა, რამდენჯერმე გამომიძსუს, მაგრამ პროლოგიდამ დასასრულამდე სდასში სრული სიხუმე ჩამოვარდა, პიესამ ფასკონასა.

ქ-ნი ყიუდივი ამ უამად მექსიკაში იმყოფება, სადაც სრულის თანაგრძობითა ჭეავთ მიღებული. ამას წინეთ ერთმა წარმოდგენამ მას 25000 მანეთი შესძინა. თუ სელის მოწერა 200 ათას მანეთადე მიადწვეს, მექსიკიდამ გავანაში ჩავა და 17 წარმოდგენას გამართავს.

შეტკრბურლის გასუთები გავტუობინებენ, რომ გუგუკოვის ცნობილი ტრადედია „ურეილ-ავოსტა“ ქ-ბს სეროვისას ოპერად ცარდაუკეთებია და ეს სასულივე უწოდებია. ოპერას პირველად მოსკოვის საიმპერატორო სტენასზედ დასდგამენ.

Handwritten signature in red ink at the bottom right of the page.



საღმარეო ნოესია

(შეგროვილი სოსიკოსაგან.)

მენ ჩემო, გუთნის დედაო!
 ხარი გიბია მტრედაო;
 მესრეებს გამოართმევიდი,
 შესატებოდი შედაო;
 სიმღერა კარგი გცოდნია,
 დანძახდი შედი-სედაო.

ვაი ჩემო, საფეიქრო,
 მასრაქო და მასრა-მაქო;
 იმის ოჯახი დაიქცეს,
 ვინც ჰირველად აქო!

სოკი-ერთმა კაცმა იცის,—
 გაძლებს და გაგორდება,
 რაგინდ საქმე უსდებოდეს,
 საქმე აღარ აგონდება.

წუთი სოფელმა დღე ჩემი
 მიმწარე დაძაღვეინა,
 არც მაძვლა, არც დამარჩინა,
 არც სული დამაღვეინა.

წავიდა აღარ მოვიდა
 ის მეწიწილე მერაო,
 ერთი ისეთი წაიღო,
 თავისი გულის ჯერაო.

მეელი გამოცანები

(შეგროვილი — დი რაფ. ერისთავისაგან)

- ა. კაცი ყანას სთესვიდა ბრძენი და გულის სმიერი,
 გუთანი ჰქონდა ხალის და ხარი მისი ძლიერი,
 გვერთ ედვა თოვლის ნამქერი და შავი კუპრის მიერი:
 მით უნდა ღვთისა ესვიდეს ყოველი ადამიერი.
- ბ. მე ერთი რამე მინახავს თლილი წმინდისა ქვისანი,
 მას გარეშაძო მოსილი ვერცხლისა, ანუ რქისანი,
 იგი ბერთავის სახმარი, არ ქალთა, არცა ერმისანი,
 ამას სულდგმულნი ვერა სცნობს, მექერე, ვერცა მისანი.

საღმარეო გამოცანები

(შეგროვილი სოსიკოსაგან.)

- ა. ტყეში დავიბადე,
 ტყეში გავისარდე,
 შინ რომ მოველი
 „კუკუ!“ დავიმასე.
- ბ. შავი მოდის შავითა,
 შავი ბრავა-ბრუკითა,
 შავსა თვალი ავუსვიე,
 შავი აბრამუკითა.
- გ. დედასა შვილი მოვსტაცე,
 სსვას მივბარე ეულსა,
 შაკვარი შევაკოჭოჭე,
 თავი მაუკავს სნეულსა.
- დ. აკრეფით სულ განაბული
 სასლთა შევიდა მხარავი,
 სასლი შივ გაძვრა სარკველში,
 ქურდი შივ დარჩა მხარავი.

ე. ორი ფრინველი სჯდებიან,
 დაბადებიდგან ჩემთანა,
 ამ წამსვე გაფრინდებიან,
 ამ წამსვე მოფრინდებიან,
 სხვისას გასინჯვენ ჯავარსა,
 თავისას ვერ მიხვდებიან.

ვ. სუკითა მთა მაძითოვა
 დაბლა ბარი მომიწათსა
 შორს მიმავალი სტუმარი
 ერთობ ასლოს დამისახლა.
 ორი ოთხათ გადამეკცა,
 მუშაც სულ მთლად დამითსლიშა.

აწითმეტეკული გამოცანები

ას. მანეთად უნდა იყიდოთ ასი თავი საქონელი,—ხარები, ძროხები და ხბოები. ხარები ღირან თვითო თუმნათ, ძროხები ხუთ-ხუთ მანეთად და ხბოები ნახევარ-ნახევარ მანეთად. ძითხვა: რამდენი იქნება ხარი, ძროხა და ხბო?—

გამოცანა—ფოკუსი.

სტოლზედ დადეთ სამი ქუდი, ყოველ ქუდის ქვეშ თვითო შაქარ-ყინული ჩადევით. შემდეგ ცალდეთ, რომ სამივე შაქარ-ყინული ერთს ქუდს ქვეშ იყოს, ხოლო ნება არა გაქეთ, რომ ერთს ქუდს ქვეშ გადააწყოთ ყველა შაქარ-ყინულები. როგორ უნდა მოხერხდეს ეს?

შაქარ თაფლაძე.

ასსნა აწითმეტეკული გამოცანებისა.

(იხილე „თეატრი“ № 25.)

I. მებაღეს ჰქონდა კალათაში 2519 ვაშლი. ამ გამოცანის სწორი ახსნა მოგვივიდა კნეიჟნა ანასტასია რაფიელის ასული მარისთაეისაგან. შესაძლებელია აგრეთვე მებაღეს ჰქონიყო 5039 ვაშლი, ხოლო ამ შემთხვევაში 2519 უფრო სწორეა.

II. მეორე გამოცანის ახსნა არაეისაგან არ მოგვსვლია, ამიტომ თვითონ რედაქცია ხსნის.

$$9+8+7+6+5+4+3+2+1=45$$

$$1+2+3+4+5+6+7+8+9=45$$

$$8+6+4+1+9+7+5+3+2=45$$

ზამორიცხვა უნდა დაიწყოთ ისე როგორც მიღებულია აწითმეტეკაში, ესე იგი მარჯვნივად მარცხნისაკენ,—ამ გეარად 45—45=45.

ასსნა ხალსური გამოცანებისა.

(იხილე „თეატრი“ № 26)

- ა.— ძალია, ბ.—ძოვზი, გ.—მრშიმო.
- დ.—ცეცხლი, ე.— არაყი, ვ.— შიქა.

გვირიდან გვირამდე

ჩვენი კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ გელათში უნახავთ დარბენდის რკინის კარები, რომელიც დავით აღმაშენებელმა გადმოიტანა დარბენტიდან და დღეს გელათის მონასტერში ინახება, სარდაფ ალაგას არის შეხვეული და უბრალოდ უანგი სჭამს ამ ღირს სახსოვარ ნაშოსაო. ურიგო არ იქნება, რომ წმინდა მოხარული ზეთი წაესვას, რომელიც არც სიძველის სახეს დაუკარგავს და ალარც უანგი შესჭამსო, ბევრი-ბევრი სულ—სამი ან ოთხი აბაზის ზეთი მოუნდესო.—

ზაზ. „Новое Обозрение“ გვატყობინებს, რომ სამს იელის ღამით, 491 ევრსზე, სტ. ღალ-მამეტლსა და ზერანს შორის საქონლის მატ. პოეზდი № 20, ვაგონის ღერძის გატენის გამო ლიან-დაგიდამ გადმოსულა, ხუთი საქონლით საეცე ვაგონი ლუკმა-ლუკმათ ქცეულა, და ერთი სტრელოზნიკი მატარებლიდამ გადმოვარდნილა და ცოტათ დაჭრილა. სხვა უბედურება არა მომხდარა-რა.

ნ ბ რ მ კ ი

კითხვა და პასუხები

(პასუხად „თქვენი სელის მომწერს № 171—შვილს“)

ბ. რედაქტორო!

თქვენის გაზეთის № 26-ში ერთმა სელის მომწერთა-განმა (№ 171-შვილი) მიწმართა ვეკლას ქართულ არტისტებს შემდეგი სიტყვებით: მე მსურს გავიგო „რასა ჭგომნობს არტისტი თამაშობის დროსა“ და ამაზედ ითხოვს პასუხს. ამასთანვე ამბობს: „ზინადათ მე ბეკრის დავკითხებავარ, ბეკრიც წამიკითხავს ამ სვანსე, მაგრამ ვეროვანი პასუხი არა მღირსებია“.

ეს წერილი თქვენდამი, ბ. რედაქტორო, მე ესლას წავიკითხე და ესლავე „შემდეგისამებრ“ პასუხს ვაძლეე, რადგანაც ბ. № 171-შვილი ამბობს იქვე: „რაც უფრო ძალე მივიღებ ამ სვანსე პასუხს, მით უკეთესია“.

გამიგია, რომ ერთ ვიღაც მომღერალს არტისტ-ქალს (მგონია ნილსონს) ჭკითხეს: რასა ჭგომნობა წარმოადგენის დროსა და იმან უპასუხა. მე ვგომნობ, რომ ადელისა ფათა ჩემზე მეტ ვამაგიროს იღებსო. ქართული დასის არტისტებს რომ მიწმართოთ ამავე კითხვით, ზოგისგან მიიღებთ პასუხად: მე ვგომნობ, რომ უნდა ვეცადო ჩემი როლების აღმასრულებელი სსვა არავინ გამოხნდეს, თორემ ჩემი ასირებული ქცევის გამო მე ზურგს შემომავცევენ და ის დაიჭურს ჩემს ადგილსაო. ზოგი გეტყვით: მე ვგომნობ ღტოლვილებს იმისთანა როლების აღსრულებსის რამელშიაც შავ-თვალ-წაბა და

ღამაზი ვეჩვენო ზოგი ერთებს... იქნება იმათი ისეთი ვინმე იეოს, რომელსაც თვალბე გადურბიცო. უღვაშემა გადაურბისო, რომ მოვეწონო და შემდეგ იმის სსსლმა „გოტქესტი-ს“ ადგილი დავიჭიროვო... და ზოგი რას იტყვას და ზოგი რას...

მე თითონ არტისტი არა ვარ, მაგრამ ასე მიყვარს სცენა, ასე ასლო ვინცნა ჩვენი თეატრის არტისტებს — იმათ ვისაც ბ. № 171-შვილი ეკითხება, რომ შემიძლიან პასუხი, ვიპოვებ, „შემდეგისამებრ“ მეც მივეუბო.

ყოველ სცენაზე არიან ნიჭიერნიც და უნიჭონიც. ყოველს სცენას ჭყავს ისეთი არტისტები, რომელთაც ესმით როგორც თავისი მოვალეობა, აგრეთვე იციან გამოცდალობით ის მდგომარეობა, რაშიც უნდა იყვნენ ისინი თამაშობის დროს; ჭყავს კიდევ ისეთნიც, რომელნიც მსოფლად არტისტობას ჩემულბენ და სცენაზე ისეთივე არიან, როგორც თავის სსსლში და, თუ თამაშობენ, — თამაშობენ ვამაგიროს პატივს ცემასათვის.

ქართულ სცენას ჭყავს ნამდვილი ნიჭიერნიც და ცრუ, უნიჭო არტისტებიც. როდესაც ბ. ეიფიანი არდგენს რომელსამე როლს მავ. დენურლისს, თუ რიგინად თვალე ადენეთ, დარწმუნდებით, რომ ის არას მასინ ჩამკვრალი იმ დენურლის ქერში: სუნთქავს იმის სუნთქვით, ფიქრობს იმის ფიქრით, ასე რომ სანამ თამაშობს იმას ავიწყდება თავისი თავი და გარდაქცეულია იმათ, ვისაც არდგენს. მასინ, უღებო რომ ჭკითხო: ვინა სარ?... შეიძლება გიპასუხოს: გენერალი, გრაფი, ფილსოფოსი და სხვა. ბ-ნი № კი ამ კითხვაზე სიცილით გეტყვით: ვერ მცნობს! მე № — ვარო.

ჩემის აწრით არტისტი უნდა იკიწყებდეს თავს, უნდა ჭგომნობდეს იმას, რასაც ჭგომნობს აღნიშნულ დროს ის პირი, ვისაც იგი არდგენს. ოტელო დაწერილია ბურბუვის დროს, შექსპირი თათქმის თავგასსა სცემდა იმის ნიჭს, — მეგობარს ემსოდა და ამ პიკას რომ სწერდა, ეუბნებოდა: შენის მეტი ვერავინ ითამაშებსო. მართლაც პირველ თამაშობასე ბურბუვი ისე „შევიდა როლში“, რომ თუ ფარდა აღრე არ ჩამოეშავთ, შეიძლებოდა დესდემოდა დაედრო. აღბად ეს არტისტი ძალიან შესანიშნავი იეო, აღბათ ესმოდა სცენა და ის მდგომარეობა — რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს — რასაც უნდა ჭგომნობდეს

არტისტი წარმოდგენის დროს, რომ გზადა ამისთანა მწერლის ყუჩადღების დროს, როგორც იყო უკვდავი შექსპირი. მეორე ამასზე არა ნაკლები ნიჭით განთქმული არტისტი ოლრივი იქამდის ივიწყებდა თავის თავს, რომ თამაშობის დროს დესდემონა დასახელებული და შეძლებდა მასთან მოთამაშენი იმუღებულნი იყვნენ რეინის საღვთო, რეალური გაკეთებულნი იყვნენ, რომ სიკვდილს გადასწინდებულნი...

ეს ფაქტები იმდროის წასუსს თქვენ კითხვასზე ბ-ნი № 171 — შვილი.

ალაგ—ალაგ თავის დასტერს რამდენად კარგია და დასაფასებელია, ამასზედ არას ვამბობ, რადგანაც ძალიან გაგმძელდებოდა ეს წერილი.

P. S. სასურველია, რომ ამ საგნის შესახებ ბ-ნის გ. ყიფიანმა, როგორც გამოცდილმა და ნიჭიერმა არტისტმა, თქვას რამე და განმარტავს ეს ფრთხილ საინტერესო კითხვას.

ა. ნებიერიძე.

წერილი რედქციისადმი.

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენს ჰატივნიშულს გასეთში ამოვიკითხე ბ-ნი ცხვედის სურვილი: იგი თხოულობს მედიტორებს ჩვენ შუა სადაო გამოსაძიებლად და შემდეგ მტყუანი ზიარის დანაშაულობის გამოძევანებას. აწ მე ვთხოვთ გამოაცხადოთ თქვენსავე ჰატივნიშულს გასეთში, რომ მე ჩემის მსრივ სრულიად თანხმად ვარ მის წინადადებაზედ და ჩემის მსრივ ვიჩივებ სათავად-აზნაურთა ბანკის ბუხალტერს ბ-ნს დ. ფავლენოვს. უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნს ფავლენოვს და მომავლის ბ-ნის ცხვედის მის მიერ აღმორჩეულს ზიარს, რაც შეიძლება ადგილობრივ საქმის გამოძიება დააშურონ, რადგან შესაძლებელია ამისთვის საჭირო ზიარნი შემდეგ ვერ დაესწრენ.

მიიღეთ და სხვა..

ლ. გულისაშვილი.

რამე-რუმე

მრთხელ ფილოსოფოსს ზენონს უთხრეს:

— ფილოსოფოსს არ შეშვენის სიყვარული ქალისადმიო.

— ეს რომ მართალი იყოს, მაშინ რაღა ეშველებოდათ მშვენიერს ქალებსო, აბა, წარმოიდგინეთ, ყველა კეკლუცი და ტურფა ქალები მართო სულელებს დარჩებოდათო! მიუგო ზენონმა.

მომრიგებელ მოსამართლესთან ირჩევა საქმე, რომლითაც კინტოს ნივთების პარვა ბრალდება.

— დამნაშავეთა სცნობთ თავს ამ ნივთების მოპარვაში თუ არა?

— მა, სული როგორ დავსწვა—მართალია, ჩემი მოპარულია. მოსამართლე განაჩენის წერას შეუდგა და ჯერ სამიოდ სიტყვაც არ დაეწერა, რომ კინტომ შეაჩერა:

— ბ. სუღია, დიდათა გთხოვთ ჩემი საქმე დღეს არ გადასწყვიტოთ და გადადოთ, რადგან ჩემი ადვოკატი არ მოვიდა.

— რაღა ადვოკატი გინდათ, აკი ალვიარეთ თქვენი დანაშაული?!

— მე მართალია, მაგრამ ძან გულით მინდა გავიგო თუჩემი ადვოკატი რამდენ ტყუილს იტყვის და ან რამდენ სტატიებს ააფრენს ჩემს გასამართლებლად.

გიჟ-მოსე.

მრთხელ აქტიორი ლუფერინი ძლიერ დაბლა ამბობდა თავის როლს. მრთმა მაცურებელმა რაიოცილამ გადმოსძახა: „მაღლა ილაპარაკეო.“ „შენ კიდევ დაბლა იყვირეო,“ მიუგო ლუფერინმა.

ჭკუის საღაირი

ქვეყანას შურს კერძო კაცის ბედნიერება, ამიტომ, როგორც ძვირფასი რამ საუნჯე ისე შეინახე შენი ბედნიერება.

(შილლერი)

— ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს ატირებს, ზოგს აცინებს.

(ილია)

— არასოდეს არ უნდა სთქვა: „არასოდეს“.

(შექსპირი.)

— წრფელი უნდა იყოს სული, რომ მიიზიდოს სიყვარული და გული წმინდა, რომ ის იტყვიროს.

(აგაფი.)

— არც მზე მუდმივ გეინათებს, არც ბედი მუდმივ გვილიმის.

(ნერასოვი.)

— იგი არ არის კაცი, რომელიც თავის ნებას კანონად მალა აყენებს.

(ჰეტ. უენტ-ვარტ.)

— გრძნობა ზომიერებისა იბადება გონიერებით.

(ტენი.)

— იფიქრეთ როგორც გინდოდეთ, თუნდა ნამდვილადც არა, ხოლო იფიქრეთ თვით!

(ლესინგი)

— პატიოსანს ღარიბს რით სჯობს გამდიდრებული იუდა!

(აგაფი.)

— იმედი, როგორც მშობელი დედა, კაცს ასაზრდოვებს.

(შილლერი.)

— ნუ ღრტყინავ, იგი ღარიბი როდია, ვისაც დღიური საზრდო მოეპოება!

(გორაციო.)

— ზოგი გულის ტყვილს იმით აჩენს, რომ მოყვარეს ცუდაც უქებს და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნება.

(ილია.)

— ხშირად ხუმრობა უფრო ადვილად და უკეთ სწყვეტს სიძნელეს, ვიდრე ღრმა ჭკუა.

გორაციო.

„თეატრის“ ფოსტა

შეტურბული, ბ-ნს მოსე კალანდარიშვილს.

თქვენი წერილი მივიღეთ და თხოვნაც უკვე აღსრულებულია, ხოლო უნდა მოგახსენოთ, რომ თვეობით ხელის მოწერა არ შეიძლება. პირველი ივლისიდან პირველს იანვრამდე „თეატრი“ ღირს 3 მან. დიდი მადლობელი ვიქნებოდით, რომ მანდაურს ამბებს შეგვატყობინებდეთ ხოლმე...

ზარიჟი, ბ-ნს ზალიკა ყიფიანს.

თქვენი წერილი მივიღეთ, აი პასუხიც. გაზეთი „თეატრი“ პარიჟში ბ-ნს ვიზირიშვილის სახელზედ მისდით ქართველ ყმაწვილ-კაცობას. ორი ლ.ლ-ის გზავნა ერთს და იგივე ადგილში ჩვენი ღარიბი რედაქციისათვის სამძიოა. კარგი იქნება, რომ შეგვატყობინებდეთ მანდ არის ბ-ნი ვიზირიშვილი თუ სადმე სხვა ადგილს. თუ იგი პარიჟში არ არის, ვის მისდის ენლა გაზეთი, დიდათ დაგვაულებთ, რომ მანდაურს ამბებს შეგვატყობინებდეთ ხოლმე, განსაკუთრებით სასცენო და სხვა ხელოვნებათა შესახებ.

რედაქტორ-გამომცემლის მამიკო ვ. გუნია.

3 0 3 0 6 3 0 0

კ ლ ე ზ ბ ე

თარგმანი ზანკისა.

ფასი 15 კაპ.

გ ბ ნ ც ხ ბ ღ მ ბ ბ ნ ი

„თეატრი“

საქორეო-კვირთა ღიტყუატიყუატი და მსატყურობითი გაზეთი

გამოდის კვირობით. იბეჭდება—მოთხრობები, რომანები, ჰიესები, ლექსები სალსური და სელოფნურიც, კრიტიკა, ბბლიოგრაფია, ჭელიტონები, გამოცანები, იგავები და სსვა. წლიური ფასი გაზეთი „თეატრისა“ 5 მანეთი, ნახევარი წლის ფასი 3 მანეთი

ნახევარი წელიწადი ითვლება 1 იანვრიდან 1 ივლისამდე და ჰირველ ივლისიდან 1 იანვრამდე. ამიტომ ვისაც ჭსურს სელის მოწერა იმათ შეუძლიანთ ამ თავითვე შემოიტანონ 3 მანეთი იანვრის 1887 წლამდე. ცალკე ნომრები „თეატრისა“ ღირს 15 კაპ. ისეიდება თბილისში 1) თვითონ რედაქციის კანტორაში არწუნისეულ ქარვასლაში, 2) ჩარვეიანის ქართული წიგნის მაღასიაში 3) გოლოფინის ჰროსპეცსედ მაღასია „ივერიაში“, 4) ხიდის ეურთან ალასანოვის ჰაპიროსის მაღასიაში და 5) ქუთაისში მმ. ჭილაძესთან.

სტამბა და წიგნის მაღასია
ზრ. ჩარკვიანისა
თბილის, ღორის-მელიქოვის ქუჩ. ზუბალოვის სახლი.
იდეებს ეორმელ-გვარ სასტამბო საქ-
მებს დასაბეჭდათ.
სტამბა და წიგნის მაღასია

ამ ღღეებში ჩამოვა და
„ტრამპის“
როტონდში გამართავს წარმოდგენებს
მთელს ევროპაში განთქმული არტი-
სტი—ევეილებისტი. ბ-ნი ჩიზარი,
ცოლ-ჰვილით. „ტრამეის“ ბალის გამ-
გებელი იოსებ ღვეითის-ძე ბაქრაძე.
(1—1)